ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი 22.03.2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვერიკო კვირკველია, ჯუმბერ ბლაგიძე და გიორგი გოგუაძე.

მოწვეული პირები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ. სხდომაზე წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის შემოსავლებმა 37254,9 ათ ლარი შეადგინა გეგმის 107,5 %-ი, აქედან გადასახადების სახით მიღებულია 13394,6 ათ ლარი გეგმის 102,6%-ი, სხვა შემოსავლები მიღებულია 4498,5 ათ ლარი რაც გეგმის 139,2%-ს შეადგენს, გარანტიის სახით მიღებული 19361,8 ათ ლარი, აქედან გარანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18269,4 ათ ლარი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია გრანტი 137,78 ათ ლარი.

საფინანსო წელში გაწეულია 20746,1 ათ ლარის ხარჯი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 7018,9 ათ ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 8543,9 ათ ლარი შეადგინა, სესხის მომსახურების პროცენტი 21,2 ათ ლარია, სოციალურ უზრუნველყოფის დაფინანსებაზე მიიმართა 881,7 ათ ლარი, სხვა ხარჯების ღონისძიებებზე 3582,5 ათ ლარი, არა ფინანსური აქტივების ზრდა 14851,7 ათ ლარს შეადგენს, კლება 98,7 ათ ლარს, მთლიან დადებითმა სალდომ 1755,9 ათ ლარი შეადგინა, მოსმენა კითხვა პასუხის რეჟიმში გაგრძელდა კომისიის წევრმა გიორგი გოგუაძემ სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძეს კითხვით მიმართა თუ რამდენად სწორად მიაჩნია ანგარიშის მოსმენა აუდიტის დასკვნის გარეშე და აუდიტის დამთავრებამდე რატომ არ გადადო კომისიამ განკარგულების დამტკიცება, რაზეც ალექსანდრე მახათაძემ უპასუხა რომ არ მიაჩნია მიზანშეწონილად ზედმეტი ხარჯის გაწევა მუნიციპალიტეტის მხრიდან, რადგან სახელმწიფო აუდიტი უკვე ოთხი თვეა ატარებს გეგმიურ შემოწმებას, ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცების ბოლო ვადა არის პირველ მაისამდე და ამ დროში ჩვენი ინფორმაციით ვერ ესწრება აუდიტის საბოლოო დასკვნის მომზადება.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე გიორგი გოგუაძემ დააყენა წინადადება საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვის პროცესში მერიის სამსახურის უფროსებმა წარმოადგინონ თავიანთი სამსახურების ფინანსური ანგარიშები, რასაც კომისიის წევრები დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მომხრე-5, წინააღმდეგი 1 (ჯუმბერ ბლაგიძე) თავი შეკავა 1 (გიორგი გოგუაძე)

2 სხვადასხვა საკითხები:

დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა თუ როდიდან დაიწყებდა მოსახლეობის მომსახურეობას მუნიციპალური ტრანსპორტი.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიას'' მდგომარეობით და თავისუფლების ქუჩაზე მდებარე ახალგაზრდული სივრცის ბედით.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 22.03.2024 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №2

2024 წლის 22 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.03.2024 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ია მოქია	11 55	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	სპარტაკ კვაჭაძე	11 50	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	12 00	
7	გიორგი გოგუაძე	11 50	
8	ვერიკო კვირკველია	12.00	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	